ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება № 292

ქ.თბილისი „15" ივლისი 2016 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მიზნით მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებით დამტკიცებული წესდების (დებულების) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" და „ჟ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის, შესაძლო არსებული პრობლემური საკითხების განხილვისა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში შეიქმნას მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში - საბჭო), შემდეგი შემადგენლობით:

ა) თეიმურაზ ფხალაძე - სააგენტოს დირექტორი, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ლერი ქვარაია - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი;

გ) ალექსანდრე კოდუა - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი;

დ) ნიკოლოზ არაგველი - სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი;

ე) თამარ აბაშიძე - სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს შემდეგ პირებს:

ა) ნინო ავაზაშვალი (პ/ნ 45001000413);

ბ) ეთერ კვახაძე (პ/ნ 01025019217);

გ) მიხეილ მოდებაძე (პ/ნ 01021008305);

დ) აკაკი რუაძე (პ/ნ 01017021091);

ე) დიანა სარალიძე (პ/ნ 01025007918);
ვ) ფიონა ცოხშალი (პ/ნ 517840427);
ზ) თეიმურაზი წიქორიძე (პ/ნ 01024015696);
თ) ნანა ხომასურიძე (პ/ნ 01026001914).

3. დამტკიცდეს საბჭოს თანდართული დებულება.

4. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის შედეგად, საბჭომ უზრუნველყოს შესაძლო არსებული პრობლემური საკითხების განხილვა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება, ასევე საბჭოს წევრების და თბილისის მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესში, აღნიშნული მიმართულებით ინფორმაციის გავრცელების მიზნით და სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მიზნით მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 12 მაისის № 274 ბრძანება.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას №7).

სააგენტოს დირექტორი თეიმურაზ ფხალაძე

დანართი

დამტკიცებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
დირექტორის 2016 წლის „ 15 “ ივლისი
№ 292 ბრძანებით

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს დებულება

1. მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში - საბჭო) შექმნილია სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დირექტორის ბრძანებით და წარმოადგენს სააგენტოსთან არსებულ მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს.
2. საბჭოს საქმიანობაში ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები და საბჭოს წევრები - 21 წლის ასაკს მიღწეული საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ცხოველთა მიმკედლებლები და სხვა დაინტერესებული პირები, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა, მიიღონ ქმედითი მონაწილეობა თბილისში ცხოველების პოპულაციების მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.
3. საკუთარ საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მთავრობის დადგენილებებით და ამ დებულებით.
4. საბჭოს მიზნებია:

ა) თბილისის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაცია და მონიტორინგი;

ბ) ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების განხილვა და მათ გადასაწყვეტად წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საკითხებში საზოგადოებაში ცივილიზებული, ჰუმანური მიდგომის ფორმირების ხელშეწყობა;

დ) ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვა-კონტროლის წესების მარეგლამენტირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფის ხელშეწყობა, შესაბამისი აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება-ინიცირება;

ე) საზოგადოების ინფორმირება ცხოველთა პოპულაციების მართვის თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების დანერგვის აუცილებლობის შესახებ;

ვ) ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ცხოველების კეთილდღეობაზე (ძაღლების გამოსეირნება, ჰიგიენური მოწესრიგება, ცხოველების განთავსების სივრცის სისუფთავის და მათი კვება-დაწყურვების უზრუნველყოფა, ცხოველების გაჩუქების და მიკედლების ხელშეწყობა, გაჩუქებული

ცხოველების მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, მიკედლებული ცხოველების რევაქცინაციის პროცესის კონტროლის ხელშეწყობა და სხვა) ზრუნვა;

ზ) ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესების დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება, შესაბამისი რეაგირების მიზნით;

თ) ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის პროცესის, მათ შორის ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო ცხოველების რიცხოვნობის რეგულირების საკითხებში ქალაქის პრიორიტეტების განსასაზღვრავად საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

5. საბჭოს წევრობა ნებაყოფლობითია. საბჭო ღიაა მის საქმიანობაში ახალი წევრების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საბჭოს მუდმივმოქმედ წევრთა პერსონალურ შემადგენლობას სათანადო ბრძანებით ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

6. საბჭოში ახალი წევრის მიღება ან საბჭოდან წევრის გასვლა ხორციელდება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე პირის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის მიზნით წერილობითი განაცხადის საფუძველზე, საბჭოს წევრი ავტომატურად ამოირიცხება საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს უახლოეს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის მომენტიდან.

7. საბჭოში ახალი წევრის მიღების ან საბჭოდან წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

8. საბჭოდან წევრის გარიცხვის საკითხის ინიცირების უფლება გააჩნია საბჭოს ყველა წევრს, თუ მიაჩნია, რომ საბჭოს წევრმა დაარღვია ეს დებულება.

9. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ექსპერტები.

10. საბჭოს შემადგენლობაში იკრძალება იმ პირების ან ორგანიზაციების წევრების/წარმომადგენელთა მიღება, რომლებიც არ იზიარებენ ცხოველთა პოპულაციების მართვის ჰუმანური ცივილიზებული მეთოდების გატარების აუცილებლობას, ან/და ჩადენილი აქვთ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილით ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

11. საკუთარ საქმიანობას საბჭო წარმართავს სხდომების მეშვეობით, რომლებიც, როგორც წესი, იმართება სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში, მინიმუმ თვეში ერთხელ.

12. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობისგან სისტემატური თავის არიდება (ზედიზედ სამ სხდომაზე დაუსწრებლობა არასაპატიო მიზეზით), ქმნის საბჭოდან წევრის გარიცხვის საფუძველს.

13. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება/რეკომენდაცია მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს სხდომის ხელმძღვანელის ხმა.

14. საბჭოს გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი. საბჭოს წევრის მიერ სხდომის ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის მითითებით.

15. საბჭოს შეკრებასა და სხდომის ორგანიზებას უზრუნველყოფს საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრი, რომელიც დაგეგმილი სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციას აწვდის საბჭოს ყველა წევრს, წინასწარ, დაგეგმილ სხდომამდე არაუგვიანეს სამი დღისა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

16. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ახორციელებს საბჭოს საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს;

გ) საბჭოს მუდმივმოქმედი წევრების წარდგინებით ანაწილებს უფლებამოსილებებს საბჭოს წევრებს შორის;

დ) საბჭოს წევრების წინადადებით განსაზღვრავს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და საკითხების განხილვის წესს;

ე) წარმოადგენს საბჭოს თბილისის ხელისუფლებასთან, თვითმმართველობის ორგანოებთან და მედიასთან ურთიერთობისას;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში, საბჭოს სხდომის ჩატარებას ავალებს საბჭოს ერთ-ერთ მუდმივმოქმედ წევრს.

17. **საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი:**

ა) საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომას;

ბ) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმიანობის გარკვეულ მიმართულებას (თემატიკას);

გ) აუცილებლობის შემთხვევაში და საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, წარმოადგენს საბჭოს თბილისის ხელისუფლებასთან, თვითმმართველობის ორგანოებთან და მედიასთან ურთიერთობისას.

18. **საბჭოს წევრი უფლებამოსილია:**

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობაში;

ბ) მოახდინოს საბჭოს სხდომის მოწვევის ინიცირება და მოითხოვოს საბჭოს სხდომაზე იმ საკითხების განხილვა, რომლებიც განეკუთვნება საბჭოს კომპეტენციას;

გ) საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის წინასწარი (მინიმუმ ერთ-საათიანი) ინფორმირების საფუძველზე, ნებისმიერ დროს განახორციელოს ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის (შემდგომში - თავშესაფარი) მონიტორინგი, რომელიც:

გ.ა) ხორციელდება 24 საათის განმავლობაში ერთხელ, ერთ საათამდე ვადის ხანგრძლივობით, საბჭოს მხოლოდ ერთი ნებისმიერი წევრის მონაწილეობით და თავშესაფრის უფროსის მიერ საამისოდ გამოყოფილი თანამშრომლის თანხლებით;

გ.ბ) მოიცავს თავშესაფრის ტერიტორიაზე დაუბრკოლებელ შესვლას, თავშესაფრის საქმიანობის ნებისმიერი სეგმენტის დათვალიერება-დაკვირვებას, საჭიროების შემთხვევაში ფოტო-ვიდეო ფიქსაციას (ცხოველების ევთანაზიისა და მათ ლეშთან დაკავშირებული მანიპულაციების გარდა) და ჩანაწერების გაკეთებას, თანხმობის შემთხვევაში - თავშესაფრის უფროსისგან ან მისი ნებართვით თავშესაფრის სხვა თანამშრომლისგან ზეპირი განმარტებების მიღებას საინტერესო საკითხებზე;

გ.გ) გამორიცხავს თავშესაფრის საქმიანობის შეფერხებას ან ხელის შეშლას, თავშესაფრის ან მისი თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევას, ადგილზე მითითება-შენიშვნა-რეკომენდაციების გაცემას;

გ.დ) ემსახურება შედეგების წარდგენას საბჭოს მომდევნო სხდომაზე, მათი განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების-წინადადებების შემუშავების მიზნით;

დ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მიერ, ასევე საბჭოს ცალკეული წევრების (ან/და ორგანიზაციის/დაწესებულების, რომელსაც წარმოადგენს საბჭოს წევრი) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან.

19. **საბჭოს წევრი ვალდებულია:**

ა) ქმედითი მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობაში, საბჭოს ამოცანების რეალიზაციის მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით;

ბ) ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით მესამე პირების მიერ მცდარი/ნეგატიური ინფორმაციის გავრცელების შესახებ მონაცემების მიღების შემთხვევაში, მოახდინოს ინფორმაციის გადამოწმება მის ხელთ არსებული ყველა წყაროების, მათ შორის აუცილებლად საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის მეშვეობით და უზრუნველყოს გადამოწმებული სწორი ინფორმაციის გავრცელება;

გ) საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის პროცესში ან/და მესამე პირებთან საბჭოს სახელით თუ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯაროდ პოზიციის დაფიქსირებისას, დაიცვას საზოგადოებრივი, კორპორატიული ეთიკისა და ზოგადი ქცევის წესები, მათ შორის:

გ.ა) საბჭოს წევრებთან და მესამე პირებთან ურთიერთობისას იყოს თავაზიანი, მომთმენი და მშვიდი;

გ.ბ) გაუფრთხილდეს საკუთარ და საბჭოს რეპუტაციას, შეინარჩუნოს ქცევის მაღალი სტანდარტი.

20. **საბჭოს წევრს ეკრძალება:**

ა) გადამოწმების გარეშე საჯარო სივრცეში ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება საბჭოს სხვა წევრის პიროვნებას (ან/და ორგანიზაციას/დაწესებულებას, რომელსაც წარმოადგენს საბჭოს წევრი) ან/და მისი საქმიანობის შედეგებს. ინფორმაცია მოწმდება უშუალოდ საბჭოს იმ წევრთან, რომელსაც ის ეხება, ხოლო გავრცელებამდე აუცილებელია საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის ინფორმირება გასასაჯაროვებელი ინფორმაციის შინაარსის შესახებ;

ბ) მესამე პირებთან საბჭოს სახელით თუ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯაროდ პოზიციის დაფიქსირება, საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის წინასწარი თანხმობის გარეშე.